შეთანხმება

კოლექტიური დავის მედიაციით დასრულების შესახებ

ქ. თბილისი 30 აგვისტო 2019 წელი

ერთი მხრივ, სს „საქართველოს რკინიგზა“ (ს/კ: 202886010) წარმოდგენილი კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსის ნინო ჯორბენაძის (რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის მიერ გაცემული 22.03.2019 #1535 რწმუნებულების თანახმად,) სახით, (შემდგომში - კომპანია), ხოლო მეორე მხრივ, ა(ა)იპ „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი“ წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ვიტალი გიორგაძის სახით (შემდგომში - პროფკავშირი) ერთობლივად მოხსენიებული, როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას და ვითვალისწინებთ, რომ

ვინაიდან,

მხარებს შორის წარმოიშვა კოლექტიური შრომითი დავა და აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენდა პროფკავშირის მიერ სს „საქართველოს რკინიგზის“ დასაქმებულთათვის ხელფასის ზრდის მოთხოვნა, მხარეთა შორის გამართული მედიაციის პროცესის შედეგად, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2019 წლის მე-4 კვარტალში განსაზღვრული საპრემიო-სამოტივაციო ბიუჯეტის თანხა (დაახლოებით 4 000 000 ლარი), გადანაწილდეს სს „საქართველოს რკინიგზის“ 12 500 დასაქმებულზე თანაბრად (თითოეულზე დაახლოებით დარიცხული 333 ლარი) და გაიცეს ყოველგვარი დამატებითი კრიტერიუმებისა და პირობების გარეშე.

2. 2020 წლის 1 მარტიდან დაანონსებული 10%_იანი სახელფასო ზრდა - 1500 ლარის ანაზღაურების მქონე და მის ქვემოთ მყოფ პოზიციებზე დასაქმებულთათვის განხორციელდეს და დაიწყოს 2019 წლის 1 დეკემბრიდან;

3. რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით 2020 წლის ოქტომბრის თქვეში, კომპანიაში დასაქმებულ პირებზე, რომელთა დარიცხული ხელფასი არ აღემატება 1250 ლარს, გაიცეს თანაბარი ოდენობის ფულადი საჩუქარი - თითოეულისათვის დარიცხული 200 ლარის ოდენობით; აღნიშნული ფულადი საჩუქარი გაიცემა დამატებით, კომპანიის ადმინისტრაციის მიერ დაანონსებული/შეპირებული 200-200 ლარის ოდენობის ფულადი საჩუქარისაგან დამოუკიდებელად. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ფულადი საჩუქარი წარმოადგენს ამავე პუნქტით განსაზღვრული დასაქმებულთა კატეგორიისათვის გასაცემ მესამე ფულად საჩუქარს.

4.2020 წლის აუდირებული შედეგებისა და კომპანიის მომგებიანობის გათვალისწინებით, 2021 წლის ივნისის თვეში ხელფასების შემდგომი სეგმენტური გადახედვის მიზნით, ადმინისტრაცია და რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი გამართავენ კონსულტაციებს/მოლაპარაკებებს ყოველწლიურად იგივე პრინციპით და იგივე ვადებში.

5. მხარეები თანხმდებიან, რომ მიმდინარე კოლექტიური შრომითი დავა მიჩნეულ იქნას დასრულებულად. რაც გულისხმობს აღნიშნული დავის ფარგლებში, გაფიცვის უფლების გამოყენებაზე უარის თქმას და წინამდებარე დოკუმენტით უკვე შეთანხმებულ საკითხებზე,ახალი კოლექტიური შრომითი დავის დაწყების შეზღუდვას 2021 წლის ივნისამდე;

6. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, რომ საჯაროდ არ გაავრცელებენ კომპანიის/ორგანიზაციის და კომპანიასთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი პირის/კომპანიის/ორგანიზაციის საქმიანი რეპუტაციის, პერსონალურ მონაცემებსადა/ან ღირსებისა და პატივის შემლახველი, არასწორ, გადაუმოწმებელ და/ან დაუდასტურებელ ცნობებს/ინფორმაციას;

7. მხარეები თანხმდებიან, რომ მედიაციის პროცესის დროს მათთვის ცნობილი ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური.

8. მხარეები თანხმდებიან, რომ შრომისკანონმდებლობის, მათ შორის შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობისდაცვისა და საწარმოო ტრამვების (ასევე, უბედური შემთხვევების) გამოკვლევის მიზნით, რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის წევრ(ებ)ი (რომლებიც კომპანიაში დასაქმებულებს წარმოადგენენორგანული კანონის - ,,კანონი პროფკავშირების შესახებ" და „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად) უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საწარმოო ტრამვებისა და უბედური შემთხვევების გამოკვლევის ღონისძიებებში - შრომის უფლებებისა და უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვის უზრუნველყოფით.

სს ,,საქართველოს რკინიგზის"	ა(ა)იპ „რკინიგზელთა ახალი პროფკავშირის"
კორპორატიული მართვის დეპარტამენტი	პრეზიდენტი:
უფროსი	
ნინო ჯორბენაძე	ვიტალი გიორგაძე
---	---